

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე

**”სამშენებლო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების
შეტანის თაობაზე”**

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღებას განაპირობებს ის, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის სამშენებლო საქმიანობის სფეროში ფუნქციები არ არის მკვეთრად გამოჯნული და ხშირად ხდება უფლებამოსილებათა აღრევა. კერძოდ, არქმშენინსპექცია წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას, ამასთანავე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ძირითადი საქმიანობის სფეროა მშენებლობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია სამშენებლო საქმიანობა მთლიანად ერთი სტრუქტურის, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქმიანობის სფეროს წარმოადგენდეს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის მიხედვით, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო, მთავარი არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექცია (არქმშენინსპექცია) გახდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გამგებლობაში არსებული უწყება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ იწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტი არ არის დაკავშირებული სახელმწიფოს მიერ ახალ ფინანსურ ვალდებულებებთან.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირობებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.